

1.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2013 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები

- ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების პროცესი

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #1140 განკარგულებით დამტკიცებული “სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ” პროგრამით გათვალისწინებული ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან შესაბამისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების ვალდებულების შესასრულებლად, 2013 წლის განმავლობაში ითარგმნა 3 ევროდირექტივა და შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის დადგენილება №151 „წნევის ქვეშე მომუშავე მოწყობილობების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის დადგენილება №150 „წნევის ქვეშე მყოფი მარტივი ჭურჭლის შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის დადგენილება №149 „ თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების შესახებ“.

ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების პროცესში სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრისა და საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

ჰარმონიზებული კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირებების დანერგვის კუთხით სააგენტოს შესაბამისი დარგის 9 სპეციალისტმა გაიარა სწავლება საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ ორგანიზებული “Twinning”-ს პროექტის „აკრედიტაციის ინფრასტრუქტურის გაძლიერება ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად” ფარგლებში. აღნიშნული სწავლება მოიცავდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #1140 განკარგულებით დამტკიცებული “სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ” პროგრამით გათვალისწინებული ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების ანალიზს და პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხებს.

- საკანონმდებლო საქმიანობა

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (შემდგომში კოდექსი) 103-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, მომზადდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- „ტექნიკური რეგლამენტი საამფეთეებლო სამუშაოების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ორთქლისა და წყალგამაცხელებელი ქვაბების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი მადნეული, არამადნეული და ქვიშრობრივი საბადოების მიწიშქვეშა წესით დამუშავების უსაფრთხოების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ესკალატორების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი კარიერების უსაფრთხოების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი საბაგრო მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი წნევაზე მომუშავე ჭურჭლების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის დროს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ატრაქციონების უსაფრთხოების შესახებ“.
- „ტექნიკური რეგლამენტი ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“.

გადაგზავნილია საქართველოს მთავრობაში განსახილველად შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- „ტექნიკური რეგლამენტი მაგისტრალური გაზსადენის ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ნავთობბაზების უსაფრთხოების შესახებ“;

- „ტექნიკური რეგლამენტი ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი მაგისტრალური ნავთობსადენის ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასების და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსები საკომპრესორო სადგურის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი გათხევადებული ნახშირწყაბადიანი გაზების (პროპანბუტანი) გაზსავსები სადგურების, ბალონების საშუალოდო საწყობების, ავტომობილების გასამართი სადგურების, სარეზერვუარო, ჯგუფური და ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოების და მოხმარების შესახებ“.

კოდექსის მიხედვით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ გათვალისწინებულია მომსახურების საფასური. კოდექსის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №177 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“.

მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის №161 დადგენილებით შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, რომელიც მიზნად ისახავს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურების დახვეწასა და ოპტიმიზაციას ადმინისტრაციული წარმოების ვადების შემცირების გზით. ასევე გასწორებულ იქნა სხვა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

მომზადდა და დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №173 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ“, რომელიც ადგენს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების გეგმიური ტექნიკური ინსპექტირების პერიოდულობასა და რისკის კატეგორიებს.

გაზგასამართი სადგურებისა და სერვისების საწარმოებში საწარმოო უსაფრთხოების რეგულირების მიზნით, მომზადდა და გადაგზავნილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტროში შესაბამის უწყებებთან შესათანხმებლად ქვემოთ მოცემულ ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტები:

- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სადაც მომეტებული ტექნიკური სახის ობიექტების ჩამონათვალს უნდა დაემატოს გაზგასამართი სადგური და შესწორდეს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები;

- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, სადაც IV კლასის შენობა-ნაგებობების ჩამონათვალს დაემატება ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობების განთავსების სერვისის საწარმო და გაზგასამართი სადგური;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტი „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესების დამტკიცების თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რაც მიზნად ისახავს ამ ტექნიკური რეგლამენტის გავრცელებას იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზეც ხდება აირბალონიანი მოწყობილობის განთავსება, მოხსნა, დაყენება და პარამეტრების შეცვლა.

• მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები

2013 წლის განმავლობაში შემოწმებულ იქნა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები: საბაგირო გზა – 18; ამწე მოწყობილობა – 7; ლიფტი – 808; შახტა -3; მადარო – 12; საამფეთქებლო სამუშაოები – 5; საწყობი – 2; იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა- 38; ატრაქციონი – 24.

ნავთობაზა-2, აირსავსები საკომპრესორო სადგური – 19, თხევადი ჟანგბადის წარმოება - 1, ნავთობის ბაზების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის პროექტი – 4, შეთანხმებულ იქნა IV კატეგორიის ობიექტების (მაგისტრალური გაზსადენი) პროექტი – 14,

გაცემული იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების – 27 ნებართვა.

2013 წლის განმავლობაში ტექნიკური ინსპექტირების შედეგად 50250 ლარით დაჯარიმდა 13 ობიექტი.

ამავე პერიოდში სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების – 80 ნებართვა, სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 748.9 ათასი ლარი;

- არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა – 63 ობიექტი. ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა – 336.3 ათასი ლარი;

- ექსპლუატაციაში იქნა მიღებული – 29 ობიექტი.